38

საქართველოს მთავრობის განკარგულება

№508 2015 წლის 12 მარტი ქ. თბილისი

სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დებულებისა და სამეთვალყურეო საბჭოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 23 ივლისის №118 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა უზრუნველყოს:

ა) მსოფლიო ბანკის დაფინანსებით განსახორციელებელი რეგიონალური განვითარების პროექტის I (კახეთი) ფარგლებში, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში სკოლა-სახელოსნო „ქვევრის სახლის“ მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის მოსარგებლისთვის (მფლობელისათვის) ასანაზღაურებელი საკომპენსაციო თანხის დაფინანსება, მსოფლიო ბანკთან შეთანხმების საფუძველზე;

ბ) ამ განკარგულების „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიების დაფინანსება „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის დამტკიცებული „რეგიონალური განვითარების

საქართველოს რეგიონული
განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტრო
№1468/01 " 16.03 2015 წ.
2 ფურცელი

პროექტი I ნაწილი (კახეთი) (WB)“ ქვეპროგრამით (პროგრამული კოდი: 25 03 05) გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრების ასიგნებებიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**